

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

სს დაზღვევის კომპანია ქართუ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	9
1. ძირითადი ინფორმაცია	9
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	9
3. მომზადების საფუძველი	10
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
5. გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია	27
6. სადაზღვევო ზარალები	28
7. სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან	28
8. გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	29
9. ადმინისტრაციული ხარჯები	29
10. ფინანსური შემოსავალი	30
11. მოგება/(ზარალი) საკუროსო სხვაობებიდან	30
12. მოგების გადასახადის ხარჯი	31
13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	32
14. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	33
15. სხვა მიმდინარე მოთხოვნები	34
16. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები	34
17. წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	35
18. სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	36
19. მისაღები პროცენტები, დივიდენდები და სხვა	37
20. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტვები	38
21. გადავადებული საგადასახადო აქტივი	39
22. ვალდებულებები გადამზღვევლის და ბროკერის მიმართ	40
23. სხვა მიმდინარე ვალდებულებები	41
24. სადაზღვევო ზარალის რეზერვები	41
25. გადავადებული შემოსავალი (UPR რეზერვი)	42
26. საწესდებო კაპიტალი	43
27. რისკების მართვა	44
28. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	49
29. მთავარი ადმინისტრაციის თანამშრომელთა ანაზღაურება	51
30. სასამართლო დავები	51
31. საგადასახადო კანონმდებლობა	51
32. ფუნქციონირებადი საწარმო	51
33. გაუთვალისწინებელი გარემოებები	52

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად უნდა ასახავდეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ორგანიზაციას აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით:

გენერალური დირექტორი



არჩილ მამაცაშვილი

მთავარი ბუღალტერი



კონსტანტინე მურადაშვილი



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge, www.tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის - შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს მიერ ჩატარებული იქნა სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“-ს (შემდგომში - კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში - ქვეყნის) 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2016 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და განმარტებებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ გვგვალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აღნიშნული აუდიტის სტანდარტები მოითხოვს ეთიკის ნორმების დაცვას და აუდიტის იმგვარ დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმისა, რომ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად აუდიტი მოიცავს გარკვეულ პროცედურებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანხებსა და განმარტებებზე. აუდიტის პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორების მოსაზრებებსა და პროფესიულ მსჯელობაზე, მათ შორის კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის და/ან შეცდომის შედეგად წარმოდგენილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებაზე. რისკის შესაფასებლად აუდიტორი ითვალისწინებს ჯგუფში არსებულ შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც ქმნიან პირობებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. თუმცა აუდიტის მიზანს არ წარმოადგენს აღნიშნული კონტროლის სისტემების ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოხატვა. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობისა და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის გამოსატანად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“-ს წარმოდგენილი 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ხარჯებს, ფულადი სახსრების მოძრაობას 2016 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ბოლო მდგომარეობით.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას ვამახვილებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 26-ე შენიშვნაზე, რომელშიც აღწერილია საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ სადაზღვევო კომპანიებისთვის 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დადგენილი მინიმალური სავალდებულო კაპიტალის ოდენობა, რასაც სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ ვერ აკმაყოფილებს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის. ამ საკითხთან მიმართებაში ჩვენი მოსაზრება პირობითი არ არის.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს

გენერალური დირექტორი, სერტიფიცირებული აუდიტორი

13.04.2017 წ.

გიორგი ცერცვაძე



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

შენიშვნა	2016	2015
მოზიდული ჯამური პრემია	10 111 249	10 574 926
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	254 004	(1 465 748)
გადაზღვევის ხარჯი	(4 199 104)	(3 737 085)
გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია:	5 6 166 149	5 372 093
სადაზღვევო ზარალები	6 (5 584 387)	(5 085 904)
აგენტების და ბროკერის საკომისიო	(365 020)	(148 087)
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(159 564)	(22 613)
სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან	7 316 966	336 692
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან	400 907	265 682
გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	8 300 276	571 024
ცვლილება მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვში	86 289	(111 121)
ცვლილება განცხადებულ, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	(1 503 968)	(282 242)
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:	(342 351)	895 525
მიწოდების სხვა ხარჯები	(24 781)	(43 365)
ადმინისტრაციული ხარჯები	9 (1 435 492)	(1 445 243)
სულ საოპერაციო მოგება:	(1 802 624)	(593 083)
ფინანსური შემოსავალი	10 90 554	42 222
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან	11 (656)	246 024
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(15 941)	20 655
მოგება დაბეგვრამდე:	(1 728 667)	(284 182)
მოგების გადასახადი	12 (205 579)	290 298
პერიოდის მოგება (ზარალი)	(1 934 246)	6 116

სხვა სრული შემოსავალი

ძირითადი საშუალებები გადაფასება	32 003	-
ცვეთის ხარჯის გადაფასების ნაწილი	(496)	(496)
წლის სხვა სრული წმინდა შემოსავალი (ხარჯი)	31 507	(496)
სულ წლის სრული შემოსავალი (ხარჯი)	(1 902 739)	5 620


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 13 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



არჩილ მამაცაშვილი

მთავარი ბუღალტერი



კონსტანტინე მურადაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-9 დან 52-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება


2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2016 წ.	31 დეკემბერი, 2015 წ.
აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4 560 267	2 191 310
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	14	4 652 180	4 633 763
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	15	367 027	367 245
საქონელი		38 410	56 353
წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	16	11 559	13 835
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	17	2 304 988	3 013 591
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	18	1 373 656	873 728
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	19	33 762	7 175
ძირითადი საშუალებები	20	161 735	161 516
არამატერიალური აქტივები		37 210	24 504
გადავადებული საგადასახადო აქტივი	21	185 679	391 259
აქტივები სულ:		13 726 473	11 734 279
ვალდებულებები:			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		90 963	9 867
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	22	4 148 645	4 011 110
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	23	134 764	138 463
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		100 737	187 026
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	24	2 023 206	519 238
გადავადებული შემოსავალი მისაღები საკომისიოდან		141 805	125 478
გადავადებული შემოსავალი	25	4 687 881	4 941 885
ვალდებულებები სულ:		11 328 001	9 933 068
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	26	7 170 300	4 670 300
გადაფასების რეზერვი	27	32 458	951
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(4 804 286)	(2 870 040)
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(1 934 246)	6 116
კაპიტალი სულ:		2 398 472	1 801 211
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		13 726 473	11 734 279

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 13 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



არჩილ მამაცაშვილი

მთავარი ბუღალტერი

კონსტანტინე მურადაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-9 დან 52-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(1 ლარი)

	2016	2015
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	9 559 865	8 705 032
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(2 723 970)	(2 232 179)
ანაზღაურებული ზარალები	(5 464 218)	(5 077 972)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	124 514	184 545
გადახდილი ხელფასები	(845 724)	(790 615)
აგენტის და ბროკერის საკომისიო	(223 650)	(126 105)
კომუნიკაციის ხარჯი	(14 472)	(42 581)
საკანცელარიო	(15 890)	(13 394)
რეკლამა	(4 539)	(3 533)
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(3 177)	(4 911)
გადახდილი საიჯარო ქირა	(126 379.41)	(189 288)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა	(286 415)	(241 596)
ფულადი სახსრები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(144 776)	(214 448)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	(168 831)	(47 042)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(16 739)	(52 110)
მიღებული პროცენტები დეპოზიტებიდან	61 537	35 263
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	44 797	(16 847)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან	2 500 000	-
გადახდილი პროცენტები	(1 618)	(1 865)
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	2 498 382	(1 865)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	(5 392)	217 341
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების წმინდა ნაზრდი:	2 368 957	151 588
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	2 191 310	2 039 722
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს:	4 560 267	2 191 310

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 13 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



არჩილ მამაგაშვილი

მთავარი ბუღალტერი



კონსტანტინე მურადაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-9 დან 52-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(1 ლარი)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ:
<u>ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისათვის</u>	<u>4 670 300</u>	<u>-</u>	<u>1 447</u>	<u>(2 876 156)</u>	<u>1 795 591</u>
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)					-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(496)	6 116	5 620
<u>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისათვის</u>	<u>4 670 300</u>	<u>-</u>	<u>951</u>	<u>(2 870 040)</u>	<u>1 801 211</u>
სააქციო კაპიტალი გაზრდა (შემცირება)					-
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	2 500 000		31 507	(1 934 246)	597 261
<u>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის</u>	<u>7 170 300</u>	<u>-</u>	<u>32 458</u>	<u>(4 804 286)</u>	<u>2 398 472</u>


კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2017 წლის 13 აპრილს შემდეგ პირთა მიერ:

გენერალური დირექტორი



არჩილ მამაცაშვილი

მთავარი ბუღალტერი



კონსტანტინე მურადაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-9 დან 52-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ (შემდგომში – *კომპანია*) დარეგისტრირებულია 13.09.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს № 5/4-2960 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204970031, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 39ა. მისი რეგისტრაცია ჩატარებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. 2015 წლის 24 დეკემბერს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შპს „დაზღვევის კომპანია ქართუ“-მ შეცვალა სამართლებრივი ფორმა და გახდა სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“. კომპანია დღე-ის გადამხდელს არ წარმოადგენს. 2016 წლის 30 დეკემბერს სს „დაზღვევის კომპანია ქართუს“ აქციონერთა კაპიტალი გაიზარდა 2 500 000 ლარით სს „ბანკი ქართუს“ ფულადი შენატანის ხარჯზე და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სააქციო კაპიტალმა შეადგინა 7 170 300 ლარი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ კომპანია „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები), რომელიც ფლობდა კომპანიის კაპიტალში წილის 11.55%-ს და სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ (საქართველო), რომელიც ფლობდა კომპანიის კაპიტალში წილის 88.45%-ს.

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიის ასევე აქვს ხუთი სერვისცენტრი: თბილისში, ბათუმში, ფოთში, საჩხერეში და თელავში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა.

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად

ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

3. მომზადების საფუძველი

სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“-ს 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული და ევროკავშირის მიერ აღიარებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის¹ და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით, იმის გამო, რომ კომპანიის ოპერაციების უმრავლესობა წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. სხვა ვალუტებში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანია წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას საბალანსო მუხლების ლიკვიდობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

კომპანიისთვის შვილობილი კომპანიები ის კომპანიებია, რომლებშიც მას აქვს უფლება აკონტროლოს მათი საქმიანობა.

მეკავშირე საწარმოები არიან ორგანიზაციები, რომლებზეც ვრცელდება „კომპანიის“ მნიშვნელოვანი გავლენა (და არა კონტროლი). მნიშვნელოვანი გავლენა წარმოიშვება მაშინ როდესაც ერთი „კომპანია“ მეორეში ფლობს 20%-დან 50%-მდე ხმის უფლებას. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება, როგორც ღირებულებას გამოკლებული გაუფასურებული ზარალი.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ერთადერთი შვილობილი კომპანია გააჩნდა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რეესტრი XXI“, რომელიც დარეგისტრირებულია 30.10.2001 წ. ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს № 5/4-3005 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204975438, იურიდიული მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი # 39ა. კომპანია ფლობს შპს „რეესტრი XXI“-ის საწესდებო კაპიტალში წილის 100%-ს.

შპს „რეესტრი XXI“-მა თავის მხრივ, ასევე 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით, 2003 წლის 29 იანვარს დააფუძნა კიდევ ერთი შვილობილი კომპანია შპს „დიაბაზი“, რომელიც რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს № 5/4-3466 დადგენილებით, საიდენტიფიკაციო კოდი № 204999500. 2016 წლის 21 ივლისს შპს „რეესტრი XXI“-მ შპს „დიაბაზი“-ში არსებული წილი გაასხვისა ფიზიკურ პირ პეტრე ივანიშვილზე პირადი ნომერი № 01002001292.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“-ს მეკავშირე კომპანიები არ გააჩნდა.

სადაზღვევო კონტრაქტები

ის კონტრაქტები, რომელთა საფუძველზეც კომპანია მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს იღებს მეორე მხარისგან და აცხადებს თანხმობას მოახდინოს „დაზღვეულის“ ან სხვა ბენეფიციარის ანაზღაურება, თუ ადგილი ექნება კონტრაქტში მითითებულ გაურკვეველ მომავალ მოვლენას („სადაზღვევო შემთხვევა“), რომელიც ნეგატიურად იმოქმედებს „დაზღვეულზე“ ან სხვა ბენეფიციარზე, კლასიფიცირდებიან, როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

ფინანსური საგარანტიო კონტრაქტები აღრიცხულია როგორც სადაზღვევო კონტრაქტები.

კონტრაქტების აღიარება და შეფასება

პრემიები

ბრუტო მოზიდული პრემია მოიცავს წლის განმავლობაში გამოწერილ პრემიებს, იმის მიუხედავად მთლიანად შეესაბამებთან ისინი ბოლო საანგარიშო პერიოდს თუ ნაწილობრივ. პრემიები ნაჩვენებია შუამავლებისთვის გადასახდელი საკომისიოების ჩათვლით. პრემიის გამომუშავებული ნაწილი აღიარებულია შემოსავლად. პრემიები გამომუშავდება ყოველდღიურად, პოლისის ძალაში შესვლიდან სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში. სადაზღვევის პრემია აღიარებულია ხარჯად ასევე ყოველდღიურ საფუძველზე. სადაზღვევის პრემიის ის ნაწილი, რომელიც არ არის აღიარებული ხარჯად, აღიქმება წინასწარ გაწეულ ხარჯად.

პოლისის გაუქმება

პოლისები უქმდება, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ სადაზღვევო პოლისის მფლობელს არ სურს ან არ შეუძლია პოლისით გათვალისწინებული პრემიის გადახდების შემდგომი წარმოება (გაგრძელება). აქედან გამომდინარე, გაუქმება, უმეტესწილად, გავლენას ახდენს იმ პოლისებზე, რომლებთან მიმართებაშიც პრემიის გადახდა ხდება შენატანების სახით პოლისის მოქმედების ვადის განმავლობაში.

გამომუშავებული პრემიის რეზერვი

გამომუშავებული პრემიის რეზერვი მოიცავს ბრუტო მოზიდული პრემიის იმ ნაწილს, რომელიც მოსალოდნელია გამომუშავდეს მომდევნო წლების განმავლობაში. იგი გამოთვლილია ცალ-ცალკე ყოველ სადაზღვევო კონტრაქტზე დღიურად.

სადაზღვევო ზარალები

ნეტო დამდგარი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო წლის განმავლობაში ანაზღაურებულ ზარალებს, ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის ცვლილებასთან ერთად. ასანაზღაურებელი ზარალები მოიცავს საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის მიერ მომხდარი და განცხადებული ზარალების საბოლოო შეფასებულ ღირებულებას, ასევე მომხდარი და განუცხადებელი ზარალების საბოლოო ღირებულებას, ზარალების დარეგულირების ანარიცხების ჩათვლით.

ასანაზღაურებელი ზარალები ფასდება ინდივიდუალური ზარალების განხილვის და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვების გათვლებით, რომელშიც გათვალისწინებულია შიდა და გარე განჭვრეტადი მოვლენები, ისეთი როგორიცაა ზარალების დარეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების ცვლილებები, წარსული გამოცდილებები და ტრენდები. ასანაზღაურებელი ზარალების რეზერვის დისკონტირება არ ხდება. წინა წლებში დადგენილი გადაზღვევის და რეგრესების მისაღები თანხები აღიარებულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში, ცალკე როგორც აქტივი. გადაზღვევის და რეგრესების ამოღება დგინდება იმავენაირად, როგორც ასანაზღაურებელი ზარალები.

წინა წელს დარეზერვებული ზარალების ოდენობების კორექტირებები აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდით, როცა კორექტირება არის გაკეთებული და მატერიალურობის შემთხვევაში - ცალკეა განმარტებული. გამოყენებული მეთოდების და გათვლების გადახედვა ხდება რეგულარულად.

გადაზღვევა

კომპანია გადაზღვევას ახორციელებს საქმიანობის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში, მისი პოტენციური წმინდა ზარალის ლიმიტირების მიზნით გამამზღვეველებისთვის რისკის ნაწილობრივ გადაცემით. გამამზღვევის ვალდებულება „კომპანიას“ არ ათავისუფლებს თავისი პირდაპირი ვალდებულებებისგან დაზღვეულთა წინაშე. გამამზღვევის წილი პრემიებში და ანაზღაურებებში წარმოდგენილია მოგებაში ან ზარალში და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბრუტო საფუძველზე. გადაზღვევის აქტივები მოიცავს მოთხოვნებს გამამზღვეველი კომპანიებიდან გადაზღვეულ სადაზღვევო ვალდებულებებზე. გადაზღვევიდან ამოსაღები თანხების შეფასება შეესაბამება გადაზღვევის პოლიტიკასთან ასოცირებულ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვსა და დარეგულირებულ ზარალებს.

გადაზღვევის მიღებული პრემია აღირიცხება მოზიდული პრემიის ანალოგიურად სადაზღვევო პროდუქტის და სახეობის გათვალისწინებით.

თანხები, რომლებიც ანაზღაურდება გადაზღვევის კონტრაქტების საფუძველზე, ფასდებიან გაუფასურებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის. ამგვარი აქტივები გაუფასურებულად მიიჩნევა, თუ არსებობს ობიექტური მოსაზრება იმის შესახებ, რომ პირველადი აღიარების შემდეგ წარმოშობილი შემთხვევის შედეგად, კომპანიას შეიძლება არ აუნაზღაურდეს ყველა თანხა, რომელიც მის წინაშე მართებთ და როცა შემთხვევას აქვს შეფასებადი გავლენა იმ თანხებზე, რომლებსაც კომპანია გამამზღვეველისგან მიიღებს. გადაზღვევის აქტივებად აღირიცხება მხოლოდ ის

კონტრაქტები, რომლებიც ითვალისწინებენ სადაზღვევო რისკის გადაცემას. ის კონტრაქტები, რომლებიც არ ითვალისწინებენ არსებითი სადაზღვევო რისკის გადაცემას, აღირიცხება ფინანსური ინსტრუმენტების სახით.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯი

ფინანსური პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო აგენტებთან და ბროკერებთან გაწეული საკომისიო და სხვა დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან ან განახლებასთან, გადავადდება მომავალ პერიოდებზე, თუკი ეს ხარჯები დაკავშირებულია მომავალში გამომუშავებულ პრემიებთან. ყველა სხვა აკვიზიციური ხარჯი აღიარდება ხარჯად წარმოშობისთანავე. პირველადი აღიარების შემდეგ, გადავადებული აკვიზიციური ხარჯები ძირითადი სადაზღვევო და სამედიცინო პროდუქტებისთვის, ამორტიზდება იმ პერიოდებზე, რომლებშიც გამომუშავდება დაკავშირებული შემოსავლები.

ვალდებულებების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საბალანსო თარიღისთვის, ტარდება ვალდებულებების ადეკვატურობის შემოწმება, გადავადებული აკვიზიციური ხარჯის აქტივების გამოკლებით გამოუმუშავებელი პრემიების საკმარისობის უზრუნველსაყოფად, მმართველობის ქვეშ არსებული საქმიანობების თითოეული მიმართულებისთვის. შემოწმებისას გამოიყენება მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალების მართვის, პოლისის ადმინისტრირებისა და მათ უზრუნველსაყოფად გაწეული საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა დანაკლისი შესაბამისი გადავადებული აკვიზიციური ხარჯი და შესაბამისი არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება და, საჭიროების შემთხვევაში შეიქმნება დამატებითი რეზერვი (ამოუწურავი რისკების რეზერვი). ამ განსხვავების აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქალაქდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას და მოგვიანებით შეიძლება მოახდინოს ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისათვის და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგება და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების რეკლასიფიკაცია

თუ გასაყიდად ფლობილის კატეგორიაში შესული არაწარმოებული ფინანსური აქტივი აღარ არის უახლოეს მომავალში გასაყიდად გამიზნული, შესაძლებელია მისი რეკლასიფიკაცია სამართლიანი ღირებულებიდან მოგების ან ზარალის მეშვეობით, შემდეგ შემთხვევებში:

- ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის გასვლამდე;
- იშვიათ შემთხვევებში, სხვა ფინანსური აქტივები შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას გასაყიდად არსებულ ან დაფარვის ვადამდე შენარჩუნებულ კატეგორიებზე.

გასაყიდად არსებულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივი, რომელიც დააკმაყოფილებს სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიის განსაზღვრებას, შესაძლოა რეკლასიფიცირებული იქნას სესხებისა და მისაღები ანგარიშებზე, თუ კომპანიას აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, შეინახოს აღნიშნული აქტივი განსაზღვრული დროით, ვადის დადგომამდე;

ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია ხდება მისი სამართლიანი ღირებულებით რეკლასიფიკაციის თარიღისათვის. არ ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული

ნებისმიერი მოგების ან ზარალის შებრუნება. ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის წარმოადგენს მის ახალ ღირებულებას ან ამორტიზებად ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური ნიშნები. ფინანსური აქტივი თუ ფინანსური

აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუ არსებობს რამე შემთხვევის ან შემთხვევების შედეგად გამოწვეული გაუფასურების არსებობის ობიექტური საფუძველი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის შემთხვევას ან შემთხვევებს გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანია წარმოადგენს ფულად ნაკადებს სადაზღვევო პოლისების/ხელშეკრულებების გაყიდვიდან და გადაზღვევის კონტრაქტების შესყიდვიდან, როგორც საოპერაციო ფულად ნაკადებს, ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სწორედ სადაზღვევო საქმიანობაა. ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბანკო დეპოზიტებსა და სადეპოზიტო სერტიფიკატებზე.

გადახდილი ავანსები

საქონლისა და მომსახურების მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების აღიარება თავდაპირველად ხდება გადახდილი თანხებით და საჭიროების შემთხვევაში დაკორექტირებულია შესაძლო გაუფასურებით. ავანსები მიიჩნევა გაუფასურებულად, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება რომ კომპანია ვერ შეძლებს სრულად მიიღოს ის საქონელი ან მომსახურება რაც განსაზღვრულია მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

მიმდინარე აქტივებისათვის და მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე მოკლევადიანი საოპერაციო ხარჯებია, კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები. ყველა სხვა ავანსი, მაგალითად გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი და წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამის სექციაში.

მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის/გადაზღვევის კონტრაქტების პირობებზე დაყრდნობით და განისაზღვრება სახელშეკრულებო/საკონტრაქტო თანხით (ღირებულებით). სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურებასთან მიმართებაში გადახდება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ იმას, რომ შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების აღდგენა. გაუფასურების ზარალი აღიარდება კომპანიის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს გადაცემულ სადაზღვევო ვალდებულებებისათვის სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. ნაკისრი გადაზღვევის პრემიების აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც პირდაპირ საქმიანობიდან მიღებული

შემოსავლისა. გადამზღვევლისთვის გადახდილი თანხები აღიარდება გადაზღვევის კონტრაქტების მიხედვით.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყველა გადაზღვეულ აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მაშინ, თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა გადაზღვევის კონტრაქტის პირობების შესაბამისად და ამის შეფასება სანდოდ არის შესაძლებელი.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს არასადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი შეძენის (ისტორიული) ღირებულებით და არიცხავს ცვეთას ნაშთთა შემცირების მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

ავტო ტრანსპორტი – 5 წელი;

კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები – 5 წელი;

ავეჯი და სხვა მოწყობილობები – 5 წელი;

განუსაზღვრელ ვადიანი არამატერიალური აქტივები – 7 წელი.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართებაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ამ შემთხვევაში, ზრდა აისახება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან, გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვეთება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას, კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები შეფასებულია თავდაპირველ და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ფასის საფუძველზე და მოიცავს მარაგების შემენისას და მათ მოქმედ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლის და მიმდინარე წარმოების ღირებულება მოიცავს საწარმოო ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ჩვეულებრივი მწარმოებლურობის საფუძველზე, მაგრამ არ მოიცავს სასესხო სახსრებს.

წმინდა რეალიზებადი ღირებულება არის მოსალოდნელი გასაყიდი ფასი საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, მინუს დასრულების მოსალოდნელი ხარჯი და გაყიდვის განსახორციელებლად საჭირო მოსალოდნელი ხარჯები.

სადაზღვევო ვალდებულებები

ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს. ზოგადი სახელშეკრულებო/საკონტრაქტო ვალდებულებები ეფუძნება ყველა იმ მოთხოვნის განსაზღვრულ საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. ამას ემატება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარჯები.

ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას. რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს მის მიმდინარე რისკს და ვალდებულების ადეკვატურობის ტესტით განსაზღვრავს მოსალოდნელი მოთხოვნების და გადავადებული შესყიდვის ხარჯების მეტობას გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში.

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მიწოდებულ საქონელზე / გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალს ეხება აისახება პირდაპირ კაპიტალის მუხლებში.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა

(ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილს აქტივებს (ვალდებულებებს) შორის.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) #12.47-ის გადავადებული გადასახადები გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს ან იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას დაუდგება გადავადებული აქტივის (ვალდებულების) გამოყენების დრო. ამის გარდა, თუ იარსებებს, რაიმე სარგებელი კომპანიის საგადასახადო ზარალებიდან, რომელთა გადატანა შესაძლებელია მომავალ პერიოდებზე, ეს სარგებელი (გადავადებული აქტივი) ასევე ჩაირთვება გადავადებული გადასახადების კალკულაციებში. გადავადებული გადასახადების დათვლა არ ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ცნობილია რომ ამ გადასახადების სარგებლის გამოყენება ვერ მოხერხდება.

2016 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

სადაზღვევო ხელშეკრულებები/პოლისები განისაზღვრება როგორც ხელშეკრულებები/პოლისები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტიდან, ან ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტში სადაზღვევო რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკი დამოკიდებულია დაზღვეული შემთხვევის ალბათობაზე და მისი სამომავლო შედეგის მოცულობაზე. მას შემდეგ რაც ხელშეკრულება აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი დარჩენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში (თუკი არ მოხდება მისი გაუქმება/ანულირება), იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო რისკი მკვეთრად შემცირდება.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების/ პოლისების გაყიდვით. კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან/ პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამოიმუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის

შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისისა თუ საბანკო გარანტიის მოქმედება. პოლისის და საბანკო გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (საბანკო გარანტიის საზღაურის) სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავლების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში). სადაზღვევო პრემიების ის ნაწილი, რომელიც შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმგვარად, რომ ამონაგები აღიარებულია რისკის პერიოდში, ან მოსალოდნელი სამომავლო სარგებლის პროპორციულად.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული

შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო მოთხოვნებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე, რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვების ფორმირების წესს არეგულირებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური. 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი: გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

კომპანიის განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისგან: რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიაში შემოვიდა საბუთის (ინვოისის) საფუძველზე; რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგრამ რომლის ოდენობის სანდო შეფასება შესაძლებელია.

დაშვებები, რომლებსაც იყენებენ სადაზღვევო აქტივებისა და ვალდებულებების შესაფასებლად, გამიზნულია რეზერვების საკმარისი რაოდენობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი ვალდებულების დაფარვის მიზნით, რომლებიც წარმოიშობა სადაზღვევო კონტრაქტებიდან გონივრული გათვალისწინების ფარგლებში. თუმცა, სავარაუდოა, რომ საბოლოო შედეგი იყოს განსხვავებული თავდაპირველად დადგენილი რეზერვის ოდენობისგან, იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია საბოლოო სადაზღვევო რეზერვების საკმარისი სიზუსტით განსაზღვრა. რეზერვები იქმნება საანგარიშგებო თარიღისთვის და განისაზღვრება საანგარიშო თარიღისთვის მომხდარი (მიუხედავად იმისა გაცხადებულია თუ არა) ზარალების ოდენობით, ზარალების დარეგულირების ხარჯის ჩათვლით და უკვე ანაზღაურებული ზარალების გამოკლებით. ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხორციელდება.

ახალი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა და ჯერ არ არის დანერგილი

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, და რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომი დაგეგმვით აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

არსებობს ბასს საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების, ინტერპრეტაციების და შესწორებების მთელი რიგი, რომლებიც ძალაშია ფინანსური ანგარიშგებისთვის ამ საანგარიშო პერიოდის შემდეგ. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული:

AASB 2016-1 გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება არარეალიზებული ზარალისთვის 2017 წლის 1 იანვარი.

AASB 2016-2 ინფორმაციის გამჟღავნება ინიციატივა: AASB 107 შესწორებები 2017 წლის 1 იანვარი.

AASB 9 ფინანსური ინსტრუმენტები 2018 წლის 1 იანვარი.

AASB 15 შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან 2018 წლის 1 იანვარი.

AASB 2014-10 გაყიდვა ან აქტივების შეტანა ინვესტორსა და მის პარტნიორებს ან ერთობლივ საწარმოს შორის 2018 წლის 1 იანვარი.

AASB 2016-5 წილზე დაფუძნებული გადახდის ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა 2018 წლის 1 იანვარი.

AASB 2016-6 AASB 9 ფინანსური ინსტრუმენტები და AASB 4 სადაზღვევო ხელშეკრულებები გამოყენება 2018 წლის 1 იანვარი.

AASB 16 იჯარა 2019 წლის 1 იანვარი.

– IFRS 9: „ფინანსური ინსტრუმენტები“; ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ სახელმძღვანელო მითითებებს და ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას, ფინანსური აქტივების გაუფასურების გაანგარიშებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ახალი მოდელის და ჰეჯირების აღრიცხვის ახალი ზოგად მოთხოვნების ჩათვლით. მას ასევე გადმოაქვს ფინანსური ინსტრუმენტების აღიარებასა და აღიარების შეწყვეტის სახელმძღვანელო მითითებები ბასს 39-დან. კომპანია აფასებს პოტენციურ

ზეგავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე, მაგრამ არ არის მოსალოდნელი, რომ ამას არსებითი გავლენა ჰქონდეს კომპანიის საქმიანობის შედეგებზე.

– IFRS 15: „შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“; ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. სტანდარტი ცვლის შემოსავლების აღიარების არსებულ სახელმძღვანელო მითითებას, მათ შორის ბასს 18 „შემოსავლები“, ბასს 11 „სამშენებლო კონტრაქტები“ და IFRIC 13 „კლიენტების მიმართ ლოიალურობის პროგრამები“ და ადგენს ყოვლისმომცველ ჩარჩოს იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად, რა რაოდენობით და როდის ხდება შემოსავლის აღიარება ხუთეტაპიანი მოდელის შემოღებით. წინასწარი შეფასებების საფუძველზე ამ შესწორებების და ინტერპრეტაციების მიღებას, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობაზე თუ გამჟღავნებულ ინფორმაციაზე.

– ფასს 16: „იჯარა“; ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის. ახალი სტანდარტი ცვლის ბასს 17 „იჯარა“ და მნიშვნელოვანი შესწორებები შეაქვს პირების მიერ იჯარის ანგარიშგების წესში, რომელიც მოითხოვს მოიჯარისგან, აღიაროს გამოყენების უფლებით აქტივი და საიჯარო ვალდებულება, თავდაპირველად შეფასებული საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, მის ბალანსზე. სახელმძღვანელო მითითება ასევე აფართოებს საჭირო რაოდენობრივ და ხარისხობრივ გამჟღავნებას იჯარის შესახებ. ეს გამოიწვევს იჯარების უმეტესობის აღრიცხვას ბალანსზე, რომელიც აღიარებს აქტივის გამოყენების უფლების ახალ კატეგორიას და პასუხისმგებლობას სამომავლო იჯარის გადასახადების დისკონტირების საფუძველზე.

იჯარა („ASU 2016-02“). ცვლილებები მოითხოვს, რომ მოიჯარემ აღიაროს აქტივი გამოყენების უფლებით და იჯარის პასუხისმგებლობა საბალანსო ანგარიშზე 12 თვეზე მეტი პერიოდის იჯარებისთვის. იჯარები კლასიფიცირებული იქნება როგორც საფინანსო ან საოპერაციო, კლასიფიკაციით, რომელიც გავლენას ახდენს ხარჯის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე აღიარების სქემაზე. ASU 2016-02 შესწორებები ძალაშია საჯარო ბიზნეს-სუბიექტებისთვის 2018 წლის 15 დეკემბრის შემდეგ დაწყებული ფისკალური წლების განმავლობაში, ამ ფისკალური წლების ფარგლებში შუალედური პერიოდების ჩათვლით. კომპანია ამჟამად აფასებს ASU 2016-02 მიღების მოსალოდნელ გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2016 წლის აგვისტოში FASB მიერ გამოიცა ASU 2016-14, ფინანსური ანგარიშგების პრეზენტაცია არამომგებიანი იურიდიული პირებისთვის, რომელსაც მიზნობრივი ცვლილებები შეაქვს არაკომერციული ფინანსური ანგარიშგების მოდელში. ახალი ASU აღნიშნავს დიდი პროექტის პირველი ეტაპის დასრულებას, რომელიც მიზნად ისახავს არაკომერციული ფინანსური ანგარიშგების გაუმჯობესებას. ახალი ASU თანახმად, წმინდა აქტივების ანგარიშგება გამარტივდება და დაზუსტებული იქნება.

2016 წლის მარტში FASB მიერ გამოიცა ASU 2016-09, „აქციების კომპენსაცია (თემა 718): თანამშრომლების წილზე დაფუძნებული გადახდის აღრიცხვის გაუმჯობესება“. სტანდარტი ამატებს თანამშრომლების წილზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების აღრიცხვის რამდენიმე ასპექტს, მათ შორის, საშემოსავლო გადასახადის, კონფისკებული და ნორმატიული საგადასახადო დაკავების მოთხოვნების აღრიცხვას, ასევე კლასიფიკაციას ფულადი ნაკადების შესახებ ანგარიშში.

ASU 2016-13, ფინანსური ინსტრუმენტები - საკრედიტო დანაკარგები (თემა 326): ფინანსურ ინსტრუმენტებზე საკრედიტო დანაკარგების გაზომვა („ASU 2016-13“). ASU 2016-13 ცვლის განცდილი ზარალის არსებულ მოდელს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით, რომელიც ზომავს საკრედიტო დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტებზე ამორტიზებული ღირებულებით, და კომპანიებისგან მოითხოვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე რეზერვის აღიარებას. გარდა ამისა, ASU 2016-13 ასევე ცვლის საკრედიტო ზარალის გაზომვის სახელმძღვანელო მითითებას გასაყიდად მზა სავალო ფასიანი ქაღალდებისათვის და ბენეფიციარულ ინტერესს სეკიურიტიზებულ ფინანსურ აქტივებში. ეს ცვლილება ხსნის გარკვეულ ფაქტორებს, რომლებიც მხედველობაშია მისაღები იმის განსაზღვრისას, უნდა იყოს თუ არა აღიარებული საკრედიტო დანაკარგები და მოითხოვს კომპანიებისგან მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღიარებას რეზერვის მეშვეობით. ASU 2016-13 ძალაშია საჯარო ბიზნეს სუბიექტებისთვის 2019 წლის 15 დეკემბრის შემდეგ დაწყებული ფისკალური წლების განმავლობაში, ამ ფისკალური წლების ფარგლებში შუალედური პერიოდების ჩათვლით. კომპანია ამჟამად აფასებს ASU 2016-13 მიღების მოსალოდნელ გავლენას.

5. გამოიმუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია

2016 წლის განმავლობაში კომპანია მძილო შემოსავალი ხელშეკრულებების/პოლისების გაყიდვით:

2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)
უზენაესი მეცნიერების და ხელოვნების აკადემიის ფინანსური დახმარება	28 529	24 717	7 287	3 236 732	205 651	1 707 656	23 673	2 937 803	49 306	1 834 633	277 123	11 252	20 890	10 365 253
გამომგებველი პრემია														
გადამგებვის სარჯი	28 529	24 717	7 287	3 236 732	52 421	1 197 121	8 231	164 636	49 306	1 128 700	238 847	8 732	20 890	6 166 149

[illegible]

6. სადაზღვევო ზარალები

	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)
	ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	სამედიცინო დაზღვევა	ტვირთების დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	ქონების დაზღვევა	სულ
ანაზღაურებული ზარალები	-	3 016 260	521	1 106 658	12 373	1 448 575	5 584 387
	-	3 016 260	521	1 106 658	12 373	1 448 575	5 584 387

	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)
	ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	სამედიცინო დაზღვევა	ტვირთების დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	ქონების დაზღვევა	სულ
ანაზღაურებული ზარალები	4 000	3 692 203	88	1 171 709	2 248	215 655	5 085 904
	4 000	3 692 203	88	1 171 709	2 248	215 655	5 085 904

7. სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან

კომპანიის სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან შეადგენდა 316 966 ლარს 2016 წლის მდგომარეობით. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა რეგრესიდან მიღებული შემოსავალს 244 730 ლარს და გადარჩენილი ქონებიდან მიღებულ შემოსავალს 72 236 ლარს.

8. გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში

	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)	2016 (ლარი)
	ტვირთების დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა	ქონების დაზღვევა	სულ
გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	8 060	263 264	(6 136)	35 087	300 276
	<u>8 060</u>	<u>263 264</u>	<u>(6 136)</u>	<u>35 087</u>	<u>300 276</u>

	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)
	ტვირთების დაზღვევა	ავტომობილების დაზღვევა	გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა	ქონების დაზღვევა	სულ
გადამზღვევლის წილი დამდგარ ზარალებში	2 135	541 224	8 013	19 652	571 024
	<u>2 135</u>	<u>541 224</u>	<u>8 013</u>	<u>19 652</u>	<u>571 024</u>

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2016 (ლარი)	2015 (ლარი)
შრომის ანაზღაურება	1 011 001	1 030 184
იჯარა	187 972	190 640
საკანცელარიო ხარჯები	15 890	16 045
კომპიუტერის და კომუნიკაციის ხარჯები	35 030	47 609
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	52 441	46 855
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	9 800	7 600
საგადასახადო ხარჯები	1 616	1 535
საბანკო ხარჯები	7 973	7 615
წარმომადგენლობითი ხარჯები	3 884	3 291
სარეკლამო	4 778	4 331
საფოსტო ხარჯები	6 847	9 389
მივლინების ხარჯი	3 177	4 385
სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	95 086	75 765
	<u>1 435 492</u>	<u>1 445 243</u>

10. ფინანსური შემოსავალი

კომპანიამ 2016 წლის განმავლობაში განათავსა საკუთარი ფულადი სახსრები სხვადასხვა ბანკებში: სს „ბანკი ქართუში“, სს „პროგრესიტი ბანკში“ და სს „ბაზის ბანკში“. კომპანიის 2016 წლის ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენდა შემოსავლები ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან.

ვინაიდან კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს, მის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი სხვა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

	2016 (ლარი)	2015 (ლარი)
სს ბანკი ქართუ	39 775	10 475
სს პროგრესიტი ბანკი	23 850	14 452
სს ბაზის ბანკი	26 930	17 295
	<u>90 554</u>	<u>42 222</u>

11. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან

2016 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	89 677	(95 071)	(5 394)
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	572 478	(414 085)	158 393
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	160	(43)	116
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	207 485	(129 934)	77 552
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	35	(83)	(49)
სულ საკურსო მოგება / (ზარალი) აქტივებიდან:	<u>869 834</u>	<u>(639 216)</u>	<u>230 618</u>
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3 157	(7 703)	(4 545)
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	531 327	(755 164)	(223 837)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	4 449	(7 341)	(2 892)
სულ საკურსო მოგება / (ზარალი) ვალდებულებებიდან:	<u>538 934</u>	<u>(770 207)</u>	<u>(231 274)</u>
სულ	<u>1 408 767</u>	<u>(1 409 423)</u>	<u>(656)</u>

2015 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	293 399	(76 058)	217 341
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	785 832	(160 006)	625 827
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	68 747	(33 522)	35 225
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	24	(4)	19
სულ საკურსო მოგება / (ზარალი) აქტივებიდან:	1 148 002	(269 590)	878 413
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	481	-	481
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	952 454	(1 582 622)	(630 168)
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 795	(4 497)	(2 702)
სულ საკურსო მოგება / (ზარალი) ვალდებულებებიდან:	954 731	(1 587 120)	(632 389)
სულ	2 102 733	(1 856 709)	246 024

12. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის მოქმედ საგადასახადო განაკვეთს წარმოადგენს მოგების გადასახადი - 15%.

	2016 (ლარი)	2015 (ლარი)
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
დროებითი სხვაობების წარმოშობა და ამოზღუდვა	205 579	(290 298)
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	205 579	(290 298)

მოქმედი საგადასახადო განაკვეთი შედარება:

	2016 (ლარი)	2015 (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(1 728 667)	(284 182)
მოგების გადასახადი შესაბამისი საგადასახადო განაკვეთით	(259 300)	(42 627)
გამოუქვითავი ხარჯი, ნეტო/(დაუბეგრავი შემოსავალი)	53 721	332 926
სულ მოგების გადასახადის ხარჯი	<u>(205 579)</u>	<u>290 299</u>

13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	2 835	4 638
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	696 858	1 057 437
ვადიანი დეპოზიტები	3 860 574	1 129 235
	<u>4 560 267</u>	<u>2 191 310</u>

ვადიანი დეპოზიტები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
სს ბანკი ქართუ	2 950 574	679 235
სს პროკრედიტ ბანკი	380 000	250 000
სს ბაზის ბანკი	530 000	200 000
	<u>3 860 574</u>	<u>1 129 235</u>

14. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება 4 652 180 ლარის ოდენობით.

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
სიცოცხლის დაზღვევა	55 672	34 167
სამედიცინო დაზღვევა	1 468 994	1 091 441
ტვირთების დაზღვევა	15 095	26 446
ავტომობილების დაზღვევა	288 076	217 335
საავიაციო დაზღვევა	1 977 796	2 726 487
ქონების დაზღვევა	573 913	452 835
ვალდებულებათა დაზღვევა	37.79	3 905
სამოქალაქო პასუხისმგებლობა	124 229	16 352
უბედური შემთხვევა	166 679	67 488
საფინანსო დანაკარგების დაზღვევა	3 308	885
სამოგზაურო დაზღვევა	9 577	7 732
საზღვაო გადამზიდის პასუხისმგებლობის დაზღვევა	343	-
	<u>4 683 719</u>	<u>4 645 073</u>

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
სადაზღვევო მოთხოვნები	4 683 719	4 645 073
სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(31 540)	(11 311)
	<u>4 652 180</u>	<u>4 633 763</u>

შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია სადაზღვევო მოთხოვნები ვადაგადაცილებების მიხედვით:

	ბრუტო 31.12.2016	გაუფასურება 31.12.2016	ბრუტო 31.12.2016	გაუფასურება 31.12.2016
არა ვადაგადაცილებული	4 648 391	-	4 606 872	-
ვადაგადაცილებული: 0-30 დღე	324	16	1 081	-
ვადაგადაცილებული: 31-60 დღე	581	87	2 036	76
ვადაგადაცილებული: 61-90 დღე	563	169	3 551	266
ვადაგადაცილებული: 91-120 დღე	2 029	1 014	4 112	641
ვადაგადაცილებული: 121-360 დღე	7 899	6 319	23 310	6 216
365 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული	23 934	23 934	4 111	4 111
	<u>4 683 719</u>	<u>31 540</u>	<u>4 645 073</u>	<u>11 311</u>

15. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
ავანსები	3 674	2 191
წინასწარ გაწეული აგენტის და ბროკერის ხარჯები	128 505	148 456
მოთხოვნები რეგრესიდან	231 274	212 576
სხვა მიმდინარე აქტივები	3 575	4 022
	<u>367 027</u>	<u>367 245</u>

16. წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ერიცხებოდა წინასწარ გაწეული ხარჯები და გადახდილი გადასახადები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	-	459
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	3 785
წინასწარ გადახდილი გადასახადები	6 563	73
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	4 996	9 519
	<u>11 559</u>	<u>13 835</u>

17. წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
ტვირთების დაზღვევა	6 100	11 213
ავტომობილების დაზღვევა	86 709	100 527
გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა	6 431	8 292
საავიაციო დაზღვევა	1 798 693	2 554 658
ქონების დაზღვევა	390 529	328 572
პასუხისმგებლობის დაზღვევა	14 027	10 329
საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევა	2 499	-
	<u>2 304 988</u>	<u>3 013 591</u>

18. სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
მოთხოვნები გადამზღვევლის და ბროკერის მიმართ ზარალის ანაზღაურების ნაწილში	733 717	426 947
მოთხოვნები გადამზღვევლის და ბროკერის მიმართ ზარალის რეზერვის ნაწილში	190 357	152 061
დებიტორული დავალიანება გადაზღვევის საკომისიოდან	449 583	294 720
	<u>1 373 656</u>	<u>873 728</u>

მოთხოვნები გადამზღვევლის და ბროკერის მიმართ ზარალის ანაზღაურების ნაწილში

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
Paraklis Insurance Solution Ltd	733 429	426 947
MAI Reinsurance brokers SIA	288	-
	<u>733 717</u>	<u>426 947</u>

მოთხოვნები გადამზღვევლის და ბროკერის მიმართ ზარალის რეზერვის ნაწილში

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
Paraklis Insurance Solution Ltd	188 695	151 785
MAI Reinsurance brokers SIA	1 662	277
	<u>190 357</u>	<u>152 061</u>

დებიტორული დავალიანება გადაზღვევის საკომისიოდან

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
Paraklis Insurance Solution Ltd	441 291	287 217
Luftfahrt-Versicherungslosungen AG	8 292	7 503
	<u>449 583</u>	<u>294 720</u>

19. მისაღები პროცენტები, დივიდენდები და სხვა

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა 33 762 ლარი:

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
სს ბანკი ქართუ	17 308	1 637
სს პროგრედიტ ბანკი	2 110	195
სს ბაზის ბანკი	14 344	5 342
	<u>33 762</u>	<u>7 175</u>

	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	66 311	234 867	1 339	8 104	46 370	356 991
დამატება	-	16 743	72	-	17 044	33 859
(შემცირება)	45 514	-	-	-	-	45 514
გადაფასება	32 003	-	-	-	-	32 003
სულ ისტორიული ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52 800	251 610	1 411	8 104	63 413	377 339
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	37 454	108 515	341	2 795	21 866	170 971
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	8 060	38 649	270	1 621	4 337	52 937
	45 514	-	-	-	-	45 514
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	147 163	612	4 416	26 203	178 393
ნარჩენი ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52 800	104 447	799	3 688	37 211	198 946
	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	59 511	182 553	1 204	8 104	46 370	297 741
დამატება	6 800	52 315	135	-	-	59 250
(შემცირება)	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	66 311	234 867	1 339	8 104	46 370	356 991
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	30 528	74 206	80	1 174	17 631	123 620
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი ჩამოწერა	6 927	34 308	261	1 621	4 235	47 351
	-	-	-	-	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37 454	108 515	341	2 795	21 866	170 971
ნარჩენი ღირებულება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	28 856	126 353	997	5 309	24 504	186 020

21. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით, რომელიც გამოითვლება ფინანსური ანგარიშგებისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნების თანხებს შორის დროებითი სხვაობით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში, მოგების გადასახადის ნაწილში, შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით სადაზღვევო კომპანიებს შეეცვალათ მოგების გადასახადის გაანგარიშგებისა და გადახადის წესი 2019 წლის 1 იანვრიდან. 2019 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადს გადაიხდიან მხოლოდ განაწილებული მოგებიდან (ანუ დივიდენდებიდან). იმ შემთხვევაში თუ კომპანია არ ახორციელებს მოგების განაწილებას ის აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ზემოთ აღწერილმა საკანონმდებლო ცვლილებამ გამოიწვია ის გარემოება რომ კომპანიებს აღარ გაუჩნდებათ დროებითი სხვაობები საგადასახადო და ფინანსური აქტივებს/ვალდებულებებს შორის. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივის და/ნ გადავადებული მოგების გადასახადის დარიცხვის ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრიდან აღარ არსებობს. ასევე საწარმო ვერ გამოიყენებს წინა წლებში აკუმულირებულ საგადასახადო ზარალებს მომავალი პერიოდების საგადასახადო მოგების შესამცირებლად.

კომპანია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო აქტივის დათვლისას იყენებს საგადასახადო ზარალის მხოლოდ იმ ნაწილს, რომლის გამოყენებასაც ვარაუდობს მიმდინარე ორი წლის განმავლობაში.

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)	დროებითი სხვაობები	მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი	მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)
2016					
პირითადი საშუალებები	161 735	95 103	(66 632)	15%	(9 995)
არამატერიალური აქტივები	37 210	19 298	(17 912)	15%	(2 687)
საგადასახადო ზარალი	-	-	1 322 406	15%	198 361
სულ	198 945	114 401	1 237 862		185 679

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)	დროებითი სხვაობები	მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი	მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)
2015					
ძირითადი საშუალებები	161 516	111 483	(50 033)	15%	(7 505)
არამატერიალური აქტივები	24 504	22 704	(1 800)	15%	(270)
საექვო მოთხოვნების კორექტირება	(22 613)	-	22 613	15%	3 392
საგადასახადო ზარალი	-	-	2 637 612	15%	395 642
სულ	163 407	134 186	2 608 391		391 259

22. ვალდებულებები გადამზღვევლის და ბროკერის მიმართ

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებამ გადამზღვევლების და ბროკერების მიმართ შეადგინა 4 148 645 ლარი.

	2016 წელი		
	EURO	USD	სულ
Paraklis Insurance Solution Ltd	1 900 911	2 940	1 903 851
Rifams LTD	30 207	(1 431)	28 776
Almondz Reinsurance Brokers	-	13 234	13 234
Luftfahrt-Versicherungslosungen AG	-	1 444 137	1 444 137
Howden insurance Brokers Ltd	-	3 094	3 094
MARSH	-	751 691	751 691
Skala Insurance and Reinsurance Broker	-	3 862	3 862
	1 931 118	2 217 527	4 148 645

	2015 წელი		
	EURO	USD	სულ
Paraklis Insurance Solution Ltd	959 284	2 660	961 944
Rifams LTD	28 293	(1 295)	26 998
Almondz Reinsurance Brokers	-	11 975	11 975
Ingosstrakh Insurance Company Ltd	-	1 224 470	1 224 470
Luftfahrt-Versicherungslosungen AG	-	1 778 739	1 778 739
Howden insurance Brokers Ltd	-	6 985	6 985
	987 576	3 023 534	4 011 110

23. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გადასახდელი გადასახადების და სხვა მიმდინარე ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	ნაშთი 31 დეკემბერი, 2016 წ. (ლარი)	ნაშთი 31 დეკემბერი, 2015 წ. (ლარი)
მიღებული ავანსები	11 840	2 571
ქონების გადასახადი	-	218
გადასახდელი ბროკერის და აგენტის საკომისიო	121 260	119 474
გადასახდელი ხელფასები	464	-
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	1 200	16 200
	<u>134 764</u>	<u>138 463</u>

24. სადაზღვევო ზარალის რეზერვები

რეზერვები იქმნება საანგარიშგებო თარიღისთვის და განისაზღვრება საანგარიშო თარიღისთვის მომხდარი (მიუხედავად იმისა გაცხადებულია თუ არა) ზარალების ოდენობით, ზარალების დარეგულირების ხარჯის ჩათვლით და უკვე ანაზღაურებული ზარალების გამოკლებით. ზარალების რეზერვების დისკონტირება არ ხორციელდება.

გაცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის (RBNS) რეზერვი შექმნილია უკვე გაცხადებული ზარალებისთვის და მოიცავს მათთან დაკავშირებულ დარეგულირებისა და მართვის ხარჯებსაც. მათი მოცულობა ეფუძნება ზარალების ინდივიდუალურ შეფასებას, კომპანიის ექსპერტებისა და ზარალების მართვის დეპარტამენტების შეხედულებისამებრ.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების (IBNR) რეზერვის დათვლა ხდება დაზღვევის სტატისტიკოსების მიერ. კომპანია IBNR რეზერვის დათვლისას იყენებს აქტუარულ მეთოდს, როგორც არის „ჯაჭვის კიბე“ (CHAIN LADDER). ეს მეთოდი ეფუძნება ზარალების ისტორიას (ანაზღაურებების სიხშირე და/ან პრეტენზიების სიხშირე, ზარალების რაოდენობა და ა.შ.) ამჟამინდელი და სამომავლო ზარალების სავარაუდო გაცხადების შესაფასებლად. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ითვალისწინებს შესაბამისი რეზერვის

შექმნას იმ ზარალებისთვის, რომლებიც გაცხადდება ზარალის მოხდენიდან ან პოლისის გაცემიდან საკმარისი დროის გასვლის შემდეგ და მაშინ, როდესაც დაგროვილი იქნება საკმარისი ინფორმაცია არსებული ზარალებიდან, მთლიანი მოსალოდნელი ზარალების შეფასების მიზნით.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების (IBNR) რეზერვის დათვლა დაზღვევის იმ სახეობებისთვის, რომლისთვის საკმარისი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს ხდება ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილის წესის მიხედვით.

25. გადავადებული შემოსავალი (UPR რეზერვი)

კომპანიის 2015 და 2016 წლების გადავადებული სადაზღვევო შემოსავლების სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოდგეობდა:

	გადავადებული შემოსავალი	მოზიდული პრემია	გამომუშავებული პრემია	გადავადებული შემოსავალი
	31 დეკემბერი, 2015 წ.	2016 წელი	2016 წელი	31 დეკემბერი, 2016 წ.
სამედიცინო დაზღვევა	999 965	3 597 238	3 236 732	1 360 472
სამოგზაურო დაზღვევა	6 430	44 949	49 306	2 072
სიცოცხლის დაზღვევა	34 083	22 338	7 287	49 134
ქონების დაზღვევა	829 173	1 809 493	1 834 633	804 033
საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევა	1 224	21 833	11 252	11 805
ავტომობილების დაზღვევა (სამოქ. პასუხისმგებლობის ჩათვლით)	296 756	1 718 650	1 707 656	307 750
გადამზიდელის პასუხისმგებლობის დაზღვევა	12 794	19 368	23 673	8 489
უზედური შემთხვევების დაზღვევა	9 314	25 816	28 529	6 601
ტვირთების დაზღვევა	17 613	196 396	205 651	8 357
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	9 685	19 783	24 717	4 751
პასუხისმგებლობის დაზღვევა	48 667	384 867	277 123	156 411
მცურავი სატრანსპორტო საშ. დაზღვევა	3 139	21 617	20 890	3 866
საავიაციო დაზღვევა	2 673 041	2 228 901	2 937 803	1 964 139
სულ:	4 941 885	10 111 249	10 365 253	4 687 881

	გადავადებული შემოსავალი	მოზიდული პრემია	გამომუშავებული პრემია	გადავადებული შემოსავალი
	31.12.2014	2015 წელი	2015 წელი	31.12.2015
სამედიცინო დაზღვევა	750 667	3 923 571	3 674 273	999 965
სამოგზაურო დაზღვევა	5 565	53 067	52 202	6 430
სიცოცხლის დაზღვევა	6 911	30 839	3 667	34 083
ქონების დაზღვევა	203 189	1 227 045	601 061	829 173
საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევა		2 000	775	1 224
ავტომობილების დაზღვევა (სამოქ.)				
პასუხისმგებლობის ჩათვლით	166 158	1 359 250	1 228 651	296 756
გადამზიდელის პასუხისმგებლობის დაზღვევა	6 326	30 964	24 496	12 794
უბედური შემთხვევების დაზღვევა	6 413	18 399	15 498	9 314
ტვირთების დაზღვევა	8 377	168 990	159 754	17 613
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	6 350	25 881	22 545	9 685
სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	56 503	159 297	167 133	48 667
მცურავი სატრანსპორტო საშ. დაზღვევა	-	6 313	3 174	3 139
სავაიციო დაზღვევა	2 259 679	3 569 311	3 155 948	2 673 041
სულ:	3 476 136	10 574 926	9 109 178	4 941 885

26. საწესდებო კაპიტალი

2016 წლის 31 დეკემბერს კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 7 170 300 ლარს, რომელიც მთლიანად იყო შევსებული ფულადი ფორმით.

ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველი ადგენს კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესს სადაზღვევო კომპანიებისათვის.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის თანახმად, სადაზღვევო კომპანიამ 2016 წლის 31 დეკემბრამდე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი ოდენობით: სიცოცხლის დაზღვევა 1 500 000 ლარი და დაზღვევა (არა სიცოცხლის) - 1 000 000 ლარი. კომპანიებს უნდა გააჩნდეთ ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე მინიმალური კაპიტალის 80%-ის ოდენობით.

ხოლო კომპანიამ არაუგვიანეს 2016 წლის 31 დეკემბრისა საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი ოდენობით: სიცოცხლის დაზღვევა 2 200 000 ლარი და დაზღვევა (არა სიცოცხლის) - 2 000 000 ლარი. კომპანიებს უნდა გააჩნდეთ ფულადი სახსრები საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშებზე მინიმალური კაპიტალის 100%-ის ოდენობით.

ეს მოთხოვნები განკუთვნილია საკმარისი გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად. კომპანიის მიზანია შეასრულოს ეს მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნების ვერ შესრულებამ შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები, მათ შორის ჯარიმების დაკისრება

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნას.

ამ მოთხოვნის შესასრულებლად 2017 წლის 10 აპრილს, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, სს „დაზღვევის კომპანია ქართუმ“ აქციონერთა კაპიტალი გაზარდა 200 000 ლარით სს „ბანკი ქართუს“ ფულადი შენატანის ხარჯზე.

ამის შედეგად, სააქციო კაპიტალმა შეადგინა 7 370 300 ლარი და დამფუძნებლებს შორის წილი გადანაწილდა შემდეგნაირად:

- „რინგოლდ ფინანს ლიმიტიდ“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) - 11.23%
- სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუ“ (საქართველო) - 88.77%.

შესაბამისად, კომპანიამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე, შეძლო დაეკმაყოფილებინა, ადგილობრივი სადაზღვევო ზედამხედველის მიერ დადგენილი მინიმალური კაპიტალის ოდენობის მოთხოვნა.

გარდა ამისა 2016 წლის 16 სექტემბრის საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება N16-ის მუხლი 1-ის მიხედვით:

მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობის 50 %-ს 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 ივლისამდე.

მზღვეველის საზედამხედველო კაპიტალის ოდენობა უნდა აღემატებოდეს გაანგარიშებით მიღებული გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობის 75 %-ს 2017 წლის 1 ივლისიდან 2018 წლის 1 იანვრამდე.

2016 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას გააჩნდა 1 637 679 ლარის საზედამხედველო კაპიტალი.

27. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც

განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეებიც არიან და კრედიტორებიც.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. რადგანაც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სადაზღვევო ოპერაციები კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ამიტომ კომპანიისთვის უცხოური ვალუტით გამოწვეული რყევები რისკს წარმოადგენს.

	GEL	EURO	RUB	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4 413 443	-	-	146 824	4 560 267
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	1 779 762	31 805	(757.87)	2 841 370	4 652 180
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	365 105	-	-	-	365 105
საქონელი	40 331	-	-	-	40 331
წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	11 561	-	-	-	11 561
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	2 304 988	-	-	-	2 304 988
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	190 357	1 165 728	-	17 572	1 373 656
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	32 985	139	-	638	33 762
ძირითადი საშუალებები	161 735	-	-	-	161 735
არამატერიალური აქტივები	37 210	-	-	-	37 210
გადავადებული საგადასახადო აქტივი	185 679	-	-	-	185 679
სულ აქტივები:	9 523 156	1 197 672	(758)	3 006 404	13 726 474
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	90 963	-	-	-	90 963
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	-	1 931 118	-	2 217 527	4 148 645
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	100 737	-	-	-	100 737
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	2 023 206	-	-	-	2 023 206
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	107 098	3 761	-	23 905	134 764
გადავადებული შემოსავალი მისაღები საკომისიოდან	141 805	-	-	-	141 805
გადავადებული შემოსავალი	4 687 881	-	-	-	4 687 881
სულ ვალდებულებები:	7 151 690	1 934 879	-	2 241 432	11 328 001
ნეტო საბალანსო პოზიციები 31.12.2016 -სთვის	2 371 466	(737 207)	(758)	764 972	2 398 473

	GEL	EURO	RUB	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1 182 829	117 584	-	890 896	2 191 310
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	1 384 538	14 080	239	3 234 906	4 633 763
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	367 245	-	-	-	367 245
საქონელი	56 353	-	-	-	56 353
წინასწარ გაწეული ხარჯები და წინასწარ გადახდილი გადასახადები	13 835	-	-	-	13 835
წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯი	3 013 591	-	-	-	3 013 591
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	152 061	700 814	-	20 852	873 728
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	7 027	-	-	148	7 175
ძირითადი საშუალებები	161 516	-	-	-	161 516
არამატერიალური აქტივები	24 504	-	-	-	24 504
გადავადებული საგადასახადო აქტივი	391 259	-	-	-	391 259
სულ აქტივები:	6 754 759	832 478	239	4 146 802	11 734 279
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	9 867	-	-	-	9 867
გადასახდელი გადაზღვევის ვალდებულება	-	987 576	-	3 023 534	4 011 110
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	187 026	-	-	-	187 026
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	519 238	-	-	-	519 238
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	121 523	790	-	16 150	138 463
გადავადებული შემოსავალი	5 067 363	-	-	-	5 067 363
სულ ვალდებულებები:	5 905 017	988 366	-	3 039 684	9 933 068
ნეტო საბალანსო პოზიციები 31.12.2015 -სთვის	849 742	(155 888)	239	1 107 118	1 801 211

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტის აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს საწარმოს ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

სადაზღვევო რისკების მართვა

„კომპანიის“ მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის შეფასებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულებების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. ამრიგად „კომპანია“ დგას რისკის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტებიდან გამომდინარე ზარალების დროის და სიმძიმის მიხედვით. მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევები თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით დადგენილი რიცხვისა და ზომისგან.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე, „კომპანია“ ასევე დგას საბაზრო რისკის წინაშე. „კომპანია“ სადაზღვევო რისკებს მართავს დამკვიდრებული სტატისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რისკების გადაზღვევით, ანდერაიტინგული ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციის პროცედურებით, ფასწარმოქმნის სახელმძღვანელო პრინციპებითა და მიმდინარე საკითხების მონიტორინგით.

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები და შემავალი რისკების ხასიათი

სადაზღვევო კონტრაქტების პირობები, რომლებსაც მატერიალური გავლენა აქვთ კონტრაქტებიდან გამომდინარე მომავალი ფულადი ნაკადების რაოდენობაზე, ვადიანობასა და განუსაზღვრელობაზე, მოყვანილია ქვემოთ. ამასთან, ეს გვამლევს კომპანიის მთავარი პროდუქტების და მათგან გამომდინარე რისკების მართვის გზების შეფასების საშუალებას.

სამედიცინო დაზღვევა

სამედიცინო დაზღვევა ფარავს სამედიცინო ჩარევის ძირითად საჭიროებებს. კომპანია რისკებს მართავს უმეტესწილად კორპორატიული პოლისების გამოწერით და სამედიცინო გამოკვლევებით ისე, რომ ფასების განსაზღვრა ითვალისწინებდეს მიმდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობას. გარდა ამისა, კომპანია იყენებს კლინიკებისა და აფთიაქების მომსახურებას, წინასწარ შეთანხმებულ ფასებზე დაყრდნობით.

ქონების დაზღვევა

კომპანია გასცემს ქონების დაზღვევის პოლისებს. ეს მოიცავს როგორც ფიზიკური პირის, ისე - იურიდიული პირის ქონების დაზღვევას. ქონების დაზღვევა დაზღვეულის ანაზღაურებას ახდენს მისი მატერიალური ქონების მთლიანი ან ნაწილობრივი დაზიანების ლიმიტის შესაბამისად. ზარალის გამომწვევი შემთხვევები, რომელიც იწვევს შენობის ან მასში განთავსებული ერთეულების დაზიანებას, ჩვეულებრივ, მოულოდნელად დგება (მაგალითად ხანძარი და ქურდობა) და გამომწვევი მიზეზის დადგენა ადვილად შესაძლებელია. შესაბამისად, ზარალის შესახებ ინფორმირება მომენტალურად ხდება და შეიძლება შეუფერხებლად მოგვარდეს.

ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა

საავტომობილო დაზღვევა მოიცავს სრულ დაზღვევას („კასკო“) და მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევას („MTPL“). „კასკოს“ კონტრაქტების მიხედვით იურიდიული და ფიზიკურ პირებს აუნაზღაურდებათ მათი ავტომობილების მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით მიყენებული ზარალი. „MTPL“-ს მიხედვით ანაზღაურდება მესამე პირის ქონების ზიანით, სიკვდილით ან სხეულის დაზიანებით გამოწვეული მესამე მხარისათვის გადასახდელი კომპენსაცია. შესაბამისად, საავტომობილო დაზღვევა მოიცავს როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან ანაზღაურებას. მოკლე დროში დარეგულირებად შემთხვევებად მიიჩნევა დაზღვეულის ავტომობილის მთლიანი ან ნაწილობრივი ზიანით გამოწვეული ზარალების ანაზღაურება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის პოლისებთან დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევების გაცხადების დროითი ინტერვალი უმნიშვნელოა, და შესაბამისად, დაბალია სადაზღვევო ზარალების სირთულე. მთლიანობაში დაზღვევის ამ სახეობის ზარალების ვალდებულებები განეკუთვნება საშუალო რისკს. კომპანია აკვირდება და რეაგირებს აღდგენის და სხეულის დაზიანების ხარჯების, ასევე ქურდობის სიხშირის და უბედური შემთხვევით გამოწვეული ზარალების ტენდენციებზე.

გადაზღვევის რისკი

კომპანია გადაზღვევას ახორციელებს საქმიანობის ნორმალური მიმდინარეობისას სადაზღვევო ზარალის ლიმიტირების მიზნით. თუმცა გადაზღვევის ვალდებულება კომპანიის მიმართ არ ათავისუფლებს კომპანიას ვალდებულებისგან დაზღვეულთა წინაშე.

დაზღვევის რისკების შესამცირებლად კომპანია იყენებს გადაზღვევის სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც ფარავენ ინდივიდუალურ და პორტფელურ რისკებს. აღნიშნული გადაზღვევის პროგრამები ახდენენ რისკების განაწილებას და ამცირებენ ზარალების ეფექტს. გადაზღვევის კონტრაქტის შესაბამისად, გადამზღვეველი იძლევა თანხმობას ანაზღაუროს ზარალი მოთხოვნის ანაზღაურების შემთხვევაში. ამასთან, კომპანია ვალდებული რჩება თავისი პოლისის მფლობელთა მიმართ ხსენებულ დაზღვევასთან მიმართებაში, თუ რომელიმე გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მასზე დაკისრებული ვალდებულებებს. გადამზღვეველის შერჩევისას კომპანია განიხილავს მის გადახდისუნარიანობას, რომელიც დგინდება გადამზღვეველის რეიტინგის და კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე. ყოველი წლის დასასრულს მენეჯმენტი ახდენს გადამზღვეველის გადახდისუნარიანობის შეფასებას, გადაზღვევის შესყიდვის სტრატეგიის განახლების და გადაზღვევის აქტივებისთვის გაუფასურების შესაბამისი ზღვარის დადგენის მიზნით.

28. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	მშობელი კომპანია	დაკავშირებული მხარეები
<i>აქტივები:</i>		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	3 206 382	-
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	(406)	2 225 152
მისაღები დივიდენდები, პროცენტები და სხვა	17 308	-
<i>აქტივები სულ:</i>	<u>3 223 284</u>	<u>5 448 437</u>

<i>ვალდებულებები:</i>		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	133	75 728
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი	9 359	21 254
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი	74 975	69 612
გადავადებული შემოსავალი	21 408	2 145 648
<i>ვალდებულებები სულ:</i>	<u>105 874</u>	<u>2 418 116</u>

	მშობელი კომპანია	დაკავშირებული მხარეები
მოზიდული ჯამური პრემია	460 379	3 030 790
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	744	(206 234)
<i>გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია:</i>	<u>441 182</u>	<u>1 012 105</u>
სადაზღვევო დამდგარი ზარალები (ბრუტო)	392 953	358 416
სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან	-	18
<i>მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:</i>	<u>834 135</u>	<u>1 370 539</u>
ადმინისტრაციული ხარჯები	(8 555)	(180 212)
<i>სულ საოპერაციო მოგება:</i>	<u>825 581</u>	<u>1 190 328</u>
ფინანსური შემოსავალი	39 775	-
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(1 618)	-
<i>მოგება დაზღვევამდე:</i>	<u>863 737</u>	<u>1 190 328</u>

29. მთავარი ადმინისტრაციის თანამშრომელთა ანაზღაურება

უმაღლესი მენეჯმენტის თანამშრომელთა რაოდენობა 2016 წელს იყო 4, რომელთა ხელფასამა შეადგინა 157 960 ლარი.

30. სასამართლო დავები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „დაზღვევის კომპანია ქართუ“ საერთო სასამართლოებში მოსარჩლედ ან მოპასუხედ არ მონაწილეობს.

სხვა პირების მოთხოვნის მოთხოვნის საფუძველზე ჩაბმულია 3 (სამ) ადინისტრაციულ საქმის პროცესში, როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

31. საგადასახადო კანონმდებლობა

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი კანონმდებლობის განმარტებები, რომლებიც გამოიყენება ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში, შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და შეფასებებისას და ამის გამო, შესაძლოა ის ოპერაციები და საქმიანობები, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, სადავო გახდეს მომავალში. ამ სახით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მნიშვნელოვან დამატებით გადასახადებს, ჯარიმებსა და საურავებს. არაპრაქტიკულია გაუცხადებელი მოთხოვნების ოდენობის განსაზღვრა, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მომავალში, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ნებისმიერი არახელსაყრელი შედეგის ალბათობის განსაზღვრა. ფისკალური პერიოდები ღია რჩება შესაბამისი ორგანოების მიერ საგადასახადო შემოწმებისთვის სამი კალენდარული წლის განმავლობაში, შემოწმების წლამდე. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება მოიცვას უფრო ხანგრძლივი პერიოდებიც. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ ჯგუფის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

32. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია

არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

33. გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები საკმაოდ ბუნდოვან და ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება. გადასახადების შემოწმება შესაძლოა სხვადასხვა ორგანოების მიერ იქნას ჩატარებული, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების, თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც გაცილებით მაღალია საქართველოში ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ, თუმცა არ არის გამორიცხული ის, რომ ეს ინტერპრეტაციები შემდგომში შეიცვალოს და საგადასახადო ორგანოებს სხვა პოზიცია ჰქონდეთ ანალოგიური საკითხების მიმართ.